ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 246

"10" ივნისი 2022 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. №50-54-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 2432 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.14.11.004.047) ტერიტორიიდან 57 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „პროგრეს გრუპისთვის" (ს/კ. 404612479) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №50-54-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 2432 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.14.11.004.047) ტერიტორიიდან 57 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „პროგრეს გრუპისთვის" (ს/ნ. 404612479) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 25 მაისის №22.804.840 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. №50-54-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 2432 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.14.11.004.047) ტერიტორიიდან 57 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „პროგრეს გრუპისთვის" (ს/კ. 404612479) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 10260 (ათი ათას ორას სამოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე